განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ფინანსები და საბანკო საქმე

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

შეფასების თარიღები
30/04/2018
01/05/2018

დასკვნის წარდგენის თარიღი

თბილისი
2018

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	**საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი - შპს**
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204886454
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფინანსები და საბანკო საქმე
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ფინანსებში - 0204
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	241
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ვასილ კიკუტაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დავით სიხარულიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	რუსუდან სეთურიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დავით ბურჯანაძე, უნივერსიტეტი ნიუ ვიჟენი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

1. ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

„ფინანსები და საბანკო საქმის" საბაკალავრო პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტისათვის კვალიფიკაციის (ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ფინანსებში) შესაბამისი საჭირო ცოდნისა და უნარების გამომუშავებაზე. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, ბაკალავრის აკადემიური ხარისხის ადეკვატური კომპეტენციების მიღწევის უზრუნველყოფაზე. „ფინანსები და საბანკო საქმის" საბაკალავრო პროგრამით ბაკალავრის მომზადება მიმდინარეობს ძირითადი (სპეციალობის) ცოდნისა და დამატებითი (ხელშემწყობი) ცოდნის სასწავლო კომპონენტების მეშვეობით. პროგრამის ხანგრძლივობა 4 აკადემიური წელი ანუ 8 სემესტრია და მოიცავს 241 კრედიტს. პროგრამის ფარგლებში სტუდენტის დატვირთვა ითვალისწინებს საკონტაქტო და დამოუკიდებელ მუშაობას და მოიცავს: სასწავლო კურსებს (ლექციები, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკულ მუშაობა, სემინარი და სხვ. შუალედური და დასკვნითი გამოცდების მომზადება-ჩაბარება); პრაქტიკას (ანგარიშის მომზადება და დაცვა), საბაკალავრო ნაშრომს სპეციალობაში (მომზადება-დაცვა).

„ფინანსები და საბანკო საქმის" საბაკალავრო პროგრამამ აკრედიტაცია მიიღო 2011 წელს, თუმცა მიუხედავად ამისა, დღეის მდგომარეობით პროგრამას არ ჰყავს არც სტუდენტი და არც კურსდამთავრებული. უნივერსიტეტმა 2017-2018 სასწავლო წელს ამ პროგრამით მიიღო მხოლოდ 5 სტუდენტი, რომლებმაც გამოიყენეს მობილობის მექანიზმი და გადავიდნენ სხვა პროგრამაზე. ამასთან, 2018-2019 სასწავლო წლისთვის პროგრამაზე უნივერსიტეტის მხრიდან არ არის მიღება გამოცხადებული, რაც დაწესებულების მხრიდან განმარტებული იქნა როგორც გამოცხადებული ადგილების რაციონალური გამოყენების მიზნებიდან გამომდინარე მიღებული გადაწყვეტილება.

2. აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტში აკრედიტაციის ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა მ.წ. 30 აპრილსა და 1 მაისს. ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით დაგეგმილი შეხვედრები. კერძოდ, ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციას (რექტორი, ხარისხის სამსახურის უფროსი, სკოლის დეკანი, პროგრამის ხელმძღვანელები), პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს. ადგილზე მოხდა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ვიზუალური დათვალიერება, გადამოწმდა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის არსებობა, ელექტრონულ ბაზებთან ხელმისაწვდომობა და სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციის მასალები. ვიზიტის პროცესში გადამოწმდა სასწავლო ელექტრონული პორტალი.

3. საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

ფინანსების და საბანკო საქმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფის შეფასებითა და არსებული წესის გათვალისწინებით პირველი სტანდარტი ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ვინაიდან 1.1, 1.4 და 1.5 კომპონენტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო 1.2 და 1.3 კომპონენტები ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. მეორე სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ვინაიდან 2.2, 2.4 და 2.5 კომპონენტები მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო 2.3 კომპონენტი ნაწილობრივ შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან.

მესამე სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო 3.4 კომპონენტი ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან. მეოთხე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, თუმცა 4.2 კომპონენტი ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან. მეხუთე სტანდარტი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, სადაც 5.1 კომპონენტი ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო 5.2 კომპონენტი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

4. რეკომენდაციები

1. რეკომენდებულია უნივერსიტეტმა შეიმუშავოს პროგრამის მდგრადობის უზრუნველყოფის მექანიზმი, სტრატეგია, რომელიც ხელს შეუწყობს ,,ფინანსები და საბანკო საქმე" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტების ნაკადის მოზიდვას;
2. რეკომენდებულია ,,ფინანსების და საბანკო საქმის" პროგრამის სტრუქტურაში სავალდებულო კომპონენტად განსაზღვრული 5 კრედიტიანი პრაქტიკის კომპონენტი, მისი მიზნებიდან, გამოყენებული სწავლებისა და შეფასების მეთოდებიდან და მისაღწევი სწავლის შედეგებიდან გამომდინარე გაიზარდოს 10 კრედიტამდე;
3. რეკომენდებულია სასწავლო კურსის ,,სტრატეგიული მენეჯმენტის" შინაარსში დაკონკრეტდეს რომელი საკითხების შესწავლით შეძლებს სტუდენტი ,,მათემატიკური აპარატისა და გამოთვლითი ტექნიკის გამოყენებას კონკრეტული მოდელების შედგენა–რეალიზაციისას" ან მოხდეს აღნიშნული კომპეტენციის მორგება სასწავლო კურსის შინაარსთან;
4. რეკომენდებულია სასწავლო კურსები ,,კომპიუტერული საინფორმაციო სისტემები ბიზნესისათვის" და ,,რისკები და დაზღვევა" მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე ისწავლებოდეს პროგრამის სავალდებულო დისციპლინებად;
5. რეკომენდებულია დაზუსტდეს სასწავლო კურსი ,,ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები" როგორ (სწავლების რა მეთოდების გამოყენებით) უნვითარებს სტუდენტებს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარს, კერძოდ: ფინანსების დაგეგმვის და მართვის და სწორი ფინანსური გადაწყვეტილების მიღების უნარს;
6. რეკომენდებულია პროგრამის კურსდამთავრებულების პოტენციური დასაქმების თანამდებობები მოერგოს პროგრამის სწავლის მიზნებსა და სწავლის შედეგებს;
7. რეკომენდებულია გააქტიურდეს პროგრამის პოტენციური დამსაქმებლების, მომიჯნავე პროგრამების სტუდენტებისა და კურსდამტავრებულების როლი პროგრამის შემუშავების პროცესში;
8. რეკომენდებულია პროგრამის სტუდენტებისათვის პირველ სემესტრში არჩევითი დისციპლინის სახით შეთავაზებული იქნეს პრე-კალკულუსი, რომელსაც სტუდენტი აირჩევს იმის მიხედვით აქვს თუ არა მას ჩაბარებული მათემატიკა ერთიან ეროვნულ გამოცდებზე, ხოლო სასწავლო კურსის ,,მათემატიკა ეკონომიკისა და ბიზნესისათვის - 1" წინაპირობად მისი შინაარსიდან გამომდინარე, განისაზღვროს მიკროეკონომიკის პრინციპები, რაც სტუდენტებს გაუადვილებს აღნიშნული დისციპლინის შესწავლას;
9. რეკომენდებულია ,,პრაქტიკის" წინაპირობად განისაზღვროს პროგრამით გათვალიწინებული ის სავალდებულო კომპონენტები, რომლებიც სტუდენტს ათვისებული უნდა ჰქონდეს პრაქტიკის კომპონენტის არჩევის მომენტისათვის;
10. რეკომენდებულია სასწავლო კურსებში არსებული ჩანაწერი - დასწრება/აქტივობა, რომელიც ფასდება 5 ქულით, დაკონკრეტდეს, ეს დასწრების ქულაა თუ აქტივობის;
11. რეკომენდებულია, იმ შემთხვევაში თუ სტუდენტი ჩაიჭრება საბაკალავრო ნაშრომის დაცვაზე მას განმეორებით დაცვაზე გასვლის უფლება არა მომდევნო წელს, არამედ მომდევნო სემესტრში მიეცეს.

12. რეკომენდებულია პრაქტიკის სილაბუსში მოცემული ცოდნის შეფასების კრიტერიუმების დეტალური რანჟირება.
13. რეკომენდებულია პროგრამის პოტენციური სტუდენტების, აკადემიური და მოწვეული პროფესორების ჩართულობის მექანიზმების გააქტიურება ინტერნაციონალიზაციის პროცესში;
14. რეკომენდებულია კონკრეტული სასწავლო კურსების სილაბუსებში (ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები, ფინანსური აღრიცხვა -1, 2, მმართველობითი აღრიცხვა, საგადასახადო საქმე, აუდიტის საფუძვლები, ეკონომიკური ანალიზი) დაკონკრეტდეს, როგორც სილაბუსის ავტორი, ასევე მისი წამკითხველი პერსონალი;
15. რეკომენდებულია სასწავლო კურსში ,,საინფორმაციო ტექნოლოგიები" კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით ლექციების შემცირების ხარჯზე გაიზარდოს პრაქტიკული მეცადინეობების მოცულობა;
16. რეკომენდებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეისწავლოს "ფინანსების და საბანკო საქმის" საბაკალავრო პროგრამის ყველა სტუდენტის პროგრამიდან გადასვლის მიზეზები (რაც ფაქტობრივად პროგრამის შეჩერების ერთერთი მიზეზად შეიძლება განვიხილოთ), დაგეგმოს და განახორციელოს მსგავსი ფაქტების თავიდან აცილებისათვის ადექვატური პრევენციული ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებები.

5. რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1. სასურველია V-VIII სემესტრებში შეთავაზებული სილაბუსის დამხმარე ლიტერატურაში ინგლისურენოვანი ლიტერატურის შეთავაზება.

6. საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

7. განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

წინა აკრედტიაციის (2011 წელი) შედეგად პროგრამაზე გაცემული რეკომენდაციებიდან:

1. სწავლების მე-8 სემესტრში სასწავლო გეგმით გათვალისწინებული იქნა პრაქტიკის კომპონენტი;
2. პროგრამის შემუშავებაში დამსაქმებლების ჩართულობა მეტწილად გათვალისწინებულია;
3. გაზრდილია პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის რიცხვი, თუმცა ცაკლეული დარგობრივი სასწავლო კურსების სილაბუსებში (7-8 სილაბუსი) ისევ ერთი და იგივე პროფესორი არის მითითებული;
4. გათვალისწინებულია დამსაქმებლების მოთხოვნა უცხო ენების სწავლების გაძლიერების შესახებ;
5. დაკორექტირებულია ზოგიერთი სასწავლო კურსის წინაპირობები და თემატიკა.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**

1.1 პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, ნათლად არის ჩამოყალიბებული, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და მიღწევადია
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის მისიაა განუვითაროს სტუდენტებს კრიტიკული, ინოვაციური და შემოქმედებითი აზროვნება, რაც ქვეყნის წარმატების და საზოგადოების განვითარების გადამწყვეტი ფაქტორია; უზრუნველყოს უნივერსიტეტის ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაცია; აკადემიური და კვლევითი საქმიანობის შედეგად გადასცეს სტუდენტებს ინფორმაცია და შექმნას ახალი ცოდნა; მაქსიმალურად მოამზადოს სტუდენტი იმ ცვლილებებისათვის, რომლის პირობებშიც მოუწევს მას მომავალი საქმიანობა. მისიიდან გამომდინარეობს „ფინანსებისა და საბანკო საქმის“ საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამის მიზანი, რომელიც შემდეგნაირად არის ფორმულირებული: მოამზადოს კონკურენტუნა-რიანი ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე სპეციალისტები ფინანსებში, რომლებსაც ექნებათ ფართო ცოდნა ფინანებისა და საბანკო საქმის მიმართულებით. გარდა ამისა, ისინი შეძლებენ შემოქმედებითად მიუდგნენ მუდმივად ცვალებადი სამყაროს კარიერულ გამოწვევებს, გამოავლინონ დარგობრივი და ტრანსფერული უნარები პროფესიული მოვალეობების შესრულების, ცოდნისა და კომპეტენციების მუდმივი განახლების საკითხებში. მისიის ზოგადი ხასიათიდან გამომდინარე „ფინანსების და საბანკო საქმის“ საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამის მიზნები შესაბამისობაშია მისიასთან. პროგრამის მომზადების წინაპირობა იყო შრომის ბაზრის შესწავლა. შრომის ბაზრის კვლევა ძირითადად დაფუძნებული იყო, როგორც პირველადი, ასევე მეორეული ინფორმაციის წყაროებზე. კერძოდ, შრომის ბაზრის კვლევის პროცესში ჩართული იყო შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, ასევე სპეციალიზირებული კვლევითი ორგანიზაცია. „ფინანსებისა და საბანკო საქმის“ საბაკალავრო პროგრამის მიზნების მისაღწევად უნივერსიტეტს გააჩნია საკმარისი რესურსები ფიზიკური და ადამიანისეული კაპიტალის სახით, თუმცა პროგრამის მიზნების მიღწევა დამოკიდებულია ამ რესურსების სათანადოდ გამოყენებასა და არსებული რეკომენდაციების შესრულებაზე. ამასთან, მოცემულ ეტაპზე: ➢ უნივერსიტეტში ადმინისტრაციასთან ინტერვიუს პროცესში გაირკვა, რომ პროგრამას არ ჰყავს კურსდამთავრებულები მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა არსებობს დაახლოებით შვიდი წელი. უნივერსიტეტმა 2017-2018 წელს ამ პროგრამით მიიღო მხოლოდ 5 სტუდენტი, რომლებმაც გამოიყენეს მობილობის მექანიზმი და გადავიდნენ სხვა პროგრამაზე. მოცემული ვითარება კი მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ პროგრამა არ ხასიათდება მდგრადობით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის მისია; ▪ ”ფინანსები და საბანკო საქმე“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; ▪ ეკონომიკისა და ბიზნესის სკოლის დებულება; ▪ გასაუბრება უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან; ▪ მონაცემები შრომის ბაზრის კვლევის შედეგების შესახებ;

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია უნივერსიტეტმა შეიმუშავოს პროგრამის მდგრადობის უზრუნველყოფის მექანიზმი, სტრატეგია, რომელიც ხელს შეუწყობს ,,ფინანსები და საბანკო საქმე" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტების ნაკადის მოზიდვას.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის კომპონენტის (სასწავლო კურსი, მოდული და სხვა) შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საბაკალავრო პროგრამა იწყება ძირითადი ცოდნის საფუძვლების შექმნით ანუ სპეციალობის იმ სავალდებულო სასწავლო კურსების შესწავლით, რომლებიც წარმოადგენს სპეცილობის სხვა სასწავლო კურსების შესწავლის წინაპირობას. გარდა ამისა, საბაკალავრო პროგრამის დასაწყისში გათვალისწინებულია ინგლისური ენის (მათ შორის, ბიზნეს ინგლისური ენა) და საინფორმაციო ტექნოლოგიების სავალდებულო სასწავლო კურსების შესწავლა, რაც ხელს უწყობს ინგლისურენოვანი (მათ შორის სპეციალური) ლიტერატურით და ინტერნეტ-რესურსებით სარგებლობას. საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამის თითოეული კომპონენტი აღწერილია სილაბუსში, რომელშიც მოცემულია სასწავლო კურსის მიზანი, შინაარსი, სწავლისა და სწავლების მეთოდები, სწავლისათვის საჭირო ლიტერატურის ჩამონათვალი, სწავლის შედეგები და ცოდნის შეფასების პროცესის დეტალური აღწერა. ცალკეული სასწავლო კურსის მიზანი და შედეგები გამომდინარეობს პროგრამის საკვალიფიკაციო ჩარჩოდან. სწავლის მეთოდებს შორის ძირითადად გამოიყენება ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, ინდივიდუალური მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი, ელექტრონული რესურსით სწავლება, რომლებიც თავის მხრივ მოიცავენ შემდეგ აქტივობებს: ახსნა-განმარტებას, ზეპირსიტყვიერს, შემთხვევების შესწავლას (Case Study), ჯგუფში (Collaborative) მუშაობას, დისკუსიას, გონებრივ იერიშს (Brain storming), წერით მუშაობას,

პრაქტიკულს, დემონსტრირებას, რაც თავის მხრივ ემსახურება ცალკეული სასწავლო კურსის ფარგლებში დასახული შედეგების მიღწევას.

ამასთან პროგრამაში შემავალი ზოგიერთი სასწავლო კურსის შინაარსის მიმართ გაგვაჩნია კონკრეტული მოსაზრებები, კერძოდ:

- პროგრამის სტრუქტურაში სავალდებულო კომპონენტად განსაზღვრულია პრაქტიკის კომპონენტი 5 კრედიტის მოცულობით, თუმცა პრაქტიკის მიზანი, შინაარსი, გამოყენებული სწავლებისა და შეფასების მეთოდები, დამოუკიდებელი და საკონტაქტო საათების რაოდენობა იგივეა რაც ,,ფინანებისა და საბანკო საქმის" საბაკალავრო პროგრამაში წარმოდგენილ 10 კრედიტის მოცულობის პრაქტიკის კომპონენტის სილაბუსში, შესაბამისად ბუნდოვანია, თუ ერთ შემთხვევაში სტუდენტს პრაქტიკის სილაბუსით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად სჭირდება 10 კრედიტი, მეორე შემთხვევაში ფაქტობრივად იგივე სწავლის შედეგებზე როგორ გადის 5 კრედიტის ფარგლებში;
- სასწავლო კურსის ,,სტრატეგიული მენეჯმენტის" სილაბუსის მიხედვით ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების ერთ-ერთი უნარია მათემატიკური აპარატისა და გამოთვლითი ტექნიკის გამოყენება კონკრეტული მოდელების შედგენა–რეალიზაციისას, თუმცა სასწავლო კურსის შინაარსში არ ჩანს რა მათემატიკური აპარატისა და გამოთვლითი ტექნიკას შეისწავლიან სტუდენტები;
- სასწავლო კურსის ,,ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები" ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარია ფინანსების დაგეგმვა და მართვა და სწორი ფინანსური გადაწყვეტილების მიღება ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის საშუალებით. თუმცა სწავლის მეთოდების ანალიზის შედეგად ბუნდოვანია როგორ ხდება ამ უნარის გამომუშავება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „ფინანსები და საბანკო საქმის" საბაკალავრო პროგრამა;
- საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიურება პროგრამის ხელმძღვანელთან, განმახორციელებელ პერსონალთან;
- ინტერვიურება უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი - https://sdasu.edu.ge/.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია ,,ფინანსების და საბანკო საქმის" პროგრამის სტრუქტურაში სავალდებულო კომპონენტად განსაზღვრული 5 კრედიტიანი პრაქტიკის კომპონენტი, მისი მიზნებიდან, გამოყენებული სწავლებისა და შეფასების მეთოდებიდან და მისაღწევი სწავლის შედეგებიდან გამომდინარე გაიზარდოს 10 კრედიტამდე;
- რეკომენდებულია სასწავლო კურსის ,,სტრატეგიული მენეჯმენტის" შინაარსში დაკონკრეტდეს რომელი საკითხების შესწავლით შეძლებს სტუდენტი ,,მათემატიკური აპარატისა და გამოთვლითი ტექნიკის გამოყენებას კონკრეტული მოდელების შედგენა–რეალიზაციისას" ან მოხდეს აღნიშნული კომპეტენციის მორგება სასწავლო კურსის შინაარსთან;
- რეკომენდებულია დაზუსტდეს სასწავლო კურსი ,,ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები" როგორ (სწავლების რა მეთოდების გამოყენებით) უნვითარებს სტუდენტებს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარს, კერძოდ: ფინანსების დაგეგმვის და მართვის და სწორი ფინანსური გადაწყვეტილების მიღების უნარს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის სათანადო დონით
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი „ფინანსები და საბანკო საქმის" საბაკალავრო პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტისათვის კვალიფიკაციის (ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ფინანსებში) შეასაბამისი საჭირო ცოდნისა და უნარების გამომუშავებაზე. "ფინანსები და საბანკო საქმის" საბაკალავრო პროგრამით ბაკალავ-რის მომზადება მიმდინარეობს ძირითადი (სპეციალობის) ცოდნისა და დამატებითი (ხელშემწყობი) ცოდნის სასწავლო კომპონენტების მეშვეობით. ძირითადი ცოდნის საკითხებს მოიცავს შესაბამისი (ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ფინანსებში) საქმიანობისათვის აუცილებელი კომპეტენ-ციების გამომუშავებისათვის საჭირო სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები, პრაქტიკა და სავალდებულო საბაკალავრო ნაშრომი სპეციალობაში. დამატებითი ცოდნის საკითხებს მოიცავს ბაკალავრის საქმიანობის ხელშემწყობი საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები და თავისუფალი კომპონენტები. თავისუფალ კომპონენტებში მოიაზრება საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული არჩევითი სასწავლო კურსები და თავისუფალი სასწავლო კურსები, რომელთა არჩევა შესაძლებელია ნებისმიერი საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმიდან. მისაღწევი კომპეტენციების ფორმირების ლოგიკური თანმიმდევრობა განსაზღვრავს საბაკალავრო პროგრამის შინაარსს, სტრუქტურას და სასწავლო გეგმას. პროგრამის სტრუქტურა: **"ფინანსები და საბანკო საქმის" საბაკალავრო პროგრამა - 241 კრედიტი, აქედან:** **სავალდებულო კომპონენტები - 181 კრედიტი;** • საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები: 10 კრედიტი • უცხო ენის კომპონენტი (ზოგადი) 20 კრედიტი • სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები: 136 კრედიტი • პრაქტიკა 5 კრედიტი • საბაკალავრო ნაშრომი სპეციალობაში: 10 კრედიტი **თავისუფალი კომპონენტები** - 60 კრედიტი; პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა ორიენტირებულია უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის (ბაკალავრიატის) კვა-ლიფიკაციათა აღმწერის შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევაზე, თუმცა პროგრამის ცალკეული კომპონენტების მიმართ გაგვაჩნია, კონკრეტული მოსაზრებები:

- ➢ პროგრამის თავისუფალ კომპონენტების მოდულში წარმოდგენილი სასწავლო კურსები ,,კომპიუტერული საინფორმაციო სისტემები ბიზნესისათვის“ და ,,რისკები და დაზღვევა“ მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე რეკომენდებულია ისწავლებოდეს სავალდებულო დისციპლინებად, რასაც პროგრამის პოტენციურმა დამსაქმებლებმაც გაუსვეს ხაზი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „ფინანსების და საბანკო საქმის“ საბაკალავრო პროგრამა;
- საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიურება უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან;
- უნივერსიტეტის ვებ გვერდი - https://sdasu.edu.ge/;

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია სასწავლო კურსები ,,კომპიუტერული საინფორმაციო სისტემები ბიზნესისათვის“ და ,,რისკები და დაზღვევა“ მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე ისწავლებოდეს პროგრამის სავალდებულო დისციპლინებად.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.4 პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას საგანმანათლებლო (განათლების შემდგომ საფეხურზე) და დასაქმების ბაზარზე

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

„ფინანსები და საბანკო საქმის” საბაკალავრო პროგრამა ითვალისწინებს ფინანსების სფეროში მიმდინარე პროცესების სპეციფიკას, ამ პროცესებში აღნიშნული კვალიფიკაციით აღჭურვილი სპეციალისტის გაზრდილ როლს და მიზნად ისახავს კონკურენტუნარიანი სპეციალისტის (ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ფინანსებში) მომზადებას. პროგრამის კურსდამთავრებულებს შეეძლებათ საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში კერძოდ კი ფინანსები და საბანკო საქმის მიმართულებით მიმდინარე პროცესების გაანალიზება, შეფასება, პრიორიტეტების

ადეკვატურად განსაზღვრა და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში სწორი გადაწყვეტილებების მიღება, თეორიული ცოდნის, პრაქტიკული უნარების და კომპეტენციების გამოყენება ბიზნესის სფეროში მუშაობისას ან საზოგადოებრივი საქმიანობის დროს და კარიერული წინსვლა. კვალიფიკაციის შემდგომი ამაღლება-სრულყოფა და სწავლის გაგრძელება შესაბამისი ან მომიჯნავე სპეციალობის სამაგისტრო პროგრამით. **პროგრამის დოკუმენტალური ნაწილის შეფასებით პროგრამა მეტწილად უზრუნველყოფს პოტენციური კურსდამთავრებულების კონკურენტუნარიანობის მიღწევას, თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ პროგრამა თითქმის 7 წელია აკრედიტებულია, ყავდა 5 სტუდენტი, რომლებიც მობილობის წესით გადავიდნენ სხვა პროგრამაზე და შესაბამისად დღეის მდგომარეობით პროგრამას არ ყავს კურსდამთავრებულები.** ამასთან,

- პროგრამაში კურსდამთავრებულების პოტენციური დასაქმების ერთ-ერთ თანამდებობად მითითებულია ,,მარკეტინგის მენეჯერი"-ს თანამდებობა, თუმცა პროგრამის სტრუქტურაში მხოლოდ ერთი ,,მარკეტინგის საფუძვლების" 5 კრედიტიანი დისციპლინა არის გათვალიწინებული (როგორც სავალდებულო, ისე არჩევით დისციპლინებში), რაც მარკეტინგის მენეჯერის პოზიციაზე სამუშაოდ მიგვაჩნია, რომ არასაკმარისია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „ფინანსების და საბანკო საქმის" საბაკალავრო პროგრამა;
- საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიურება პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიურება პოტენციურ დამსაქმებლებთან;
- ინტერვიურება პროგრამის ხელმძღვანელთან;
- შრომის ბაზრის ანალიზი;
- უნივერსიტეტის ვებ გვერდი - https://sdasu.edu.ge/.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია პროგრამის კურსდამთავრებულების პოტენციური დასაქმების თანამდებობები მოერგოს პროგრამის სწავლის მიზნებსა და სწავლის შედეგებს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.5 პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრისა და პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლები, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები) მონაწილეობის მექანიზმი შემუშავებულია და ხორციელდება
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ”ფინანსები და საბანკო საქმის” საბაკალავრო პროგრამის შემუშავებამდე იყო განხილვები უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის, დამსაქმებლების ნაწილობრივი მონაწილეობით ”ფინანსები და საბანკო საქმის” საბაკალავრო პროგრამის შემუშავების მიზანშეწონილობის, მისი აქტუალობის დადგენისა და მოწინავე გამოცდილების გაზიარების მიზნით. განისაზღვრა ”ფინანსები და საბანკო საქმის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შედეგების შესაბამისი (ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ფინანსებში) კომპეტენციები, საბაკალავრო პროგრამის მიზნები და სასწავლო გეგმა. უნივერსიტეტში შემუშავებულია და მოქმედებს პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრისა და პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის მექანიზმი, თუმცა ➢ პროგრამის პოტენციური დამსაქმებლები ძირითადად პასიურად იყვნენ ჩართულები პროგრამის შემუშავებაში, შესაბამისად მიზანშეწონილად მიგვაჩნია გააქტიურდეს პროგრამის პოტენციური დამსაქმებლების როლი პროგრამის შემუშავების პროცესში და მეტად იქნეს გამოყენებული მათი რესურსები პროგრამის განვითარებისათვის, მათ შორის პრაქტიკის ობიექტების სპექტრის გაზრდაში, სტუდენტებისათვის პრაქტიკოსებთან მეტი შეხვედრების ორგანიზებაში, მეტი სტაჟირებების შეთავაზებაში და ა.შ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ „ფინანსების და საბანკო საქმის“ საბაკალავრო პროგრამა; ▪ საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში; ▪ ინტერვიურება პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ▪ ინტერვიურება პოტენციურ დამსაქმებლებთან; ▪ ინტერვიურება პროგრამის ხელმძღვანელთან; ▪ შრომის ბაზრის ანალიზი; ▪ უნივერსიტეტის ვებ გვერდი - https://sdasu.edu.ge/.
რეკომენდაციები: ▪ რეკომენდებულია გააქტიურდეს პროგრამის პოტენციური დამსაქმებლების, მომიჯნავე პროგრამების სტუდენტებისა და კურსდამტავრებულების როლი პროგრამის შემუშავების პროცესში;
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა			√	

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

2.1 პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, რაც ემსახურება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი “ფინანსები და საბანკო საქმე” საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე ან ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. საბაკალავრო პროგრამაზე შესაძლებელია შიდა ან გარე მობილობის წესით ჩარიცხვა სტუდენტის მიერ ათვისებული პროგრამისა და "ფინანებისა და საბანკო საქმის" საბაკალავრო პროგრამის თავსებადობის დადგენისა და შესაბამისი კრედიტების აღიარებით გზით. ინფორმაცია პროგრამაზე დაშვების წინაპირობების შესახებ საჯაროა და განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ „ფინანსები და საბანკო საქმე“ საბაკალავრო პროგრამა; ▪ პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში; ▪ უნივერსიტეტის ვებ გვერდი - https://sdasu.edu.ge/;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საბაკალავრო პროგრამის სწავლება ითვალისწინებს სწავლის შედეგების მიღწევის ისეთი მეთოდების გამოყენებას, რომლებიც პროგრამის დაძლევის შედეგად უზრუნველყოფს შესაბამისი (ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ფინანსებში) აკადემიური ხარისხის სათანადო ცოდნისა და შესაბამისი კომპეტენციების მიღწევას. სწავლების პროცესში გამოიყენება ინტერაქტიული, სტუდენტზე, ქმედებასა და შედეგზე ორიენტირებული მეთოდები: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, ინდივიდუალური მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი, ელექტრონული რესურსით სწავლება, რომლებიც თავის მხრივ მოიცავენ შემდეგ აქტივობებს: ახსნა-განმარტებას, ზეპირსიტყვიერს, შემთხვევების შესწავლას (Case Study), ჯგუფში (Collaborative) მუშაობას, დისკუსია, გონებრივ იერიშს (Brain storming), წერით მუშაობას, პრაქტიკულს, დემონსტრირებას. სწავლების პროცესში გამოიყენება ზემოთ ჩამოთვლილიდან ერთი ან რამდენიმე მეთოდი პროფესორის შეხედულების შესაბამისად, რის შედეგად სწავლების პროცესი ხდება უფრო მრავალფეროვანი, ხოლო ბაკალავრის საქმიანობა - უფრო აქტიური. ამასთან, ზოგიერთ სასწავლო კურსში გამოყენებულ სწავლების მეთოდების მიმართ გაგვაჩნია გარკვეული მოსაზრებები: ➢ სასწავლო კურსში ,,საინფორაციო ტექნოლოგიები“ 15 საათი აქვს დათმობილი ლექციას, ხოლო 14 საათი პრაქტიკულ მეცადინეობას, შესაბამისად მიგვაჩნია, რომ კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით უმჯობესი იქნება მნიშვნელოვნად გაიზარდოს პრაქტიკული მეცადინეობების მოცულობა ლექციების შემცირების ხარჯზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „ფინანსები და საბანკო საქმე“ საბაკალავრო პროგრამა;
- პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიურება პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიურება პროგრამის ხელმძღვანელთან;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი - https://sdasu.edu.ge/.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია სასწავლო კურსში ,,საინფორმაციო ტექნოლოგიები“ კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით ლექციების შემცირების ხარჯზე გაიზარდოს პრაქტიკული მეცადინეობების მოცულობა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3 პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურია

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საბაკალავრო პროგრამის კომპონენტები მიმართულია პროგრამაში დასახული მიზნების მიღწევაზე და სწავლის შედეგად ბაკალავრის კომპეტენციების ჩამოყალიბებაზე. მისაღწევი კომპეტენციების ფორმირების ლოგიკური თანმიმდევრობა განსაზღვრავს საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურას და სასწავლო გეგმას, შესაბამისად საბაკალავრო პროგრამა იწყება ძირითადი ცოდნის საფუძვლების შექმნით ანუ სპეციალობის იმ სავალდებულო სასწავლო კურსების შესწავლით, რომლებიც წარმოადგენს სხვა სასწავლო კურსების შესწავლის წინაპირობას. მომდევნო სემესტრებში ხდება უკვე მიღებული ცოდნის საფუძველზე სტუდენტის ახალი კომპეტენციების შეძენა და არსებულის განვითარება, რაც ხდება საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმაში სავალდებულო კომპონენტის (სასწავლო კურსები, საბაკალავრო ნაშრომი/პრაქტიკა) და თავისუფალი კომპონენტების (არჩევითი სასწავლო კურსების/თავისუფალი კრედიტები) მეშვეობით და მათი შესწავლის წინაპირობების გათვალისწინებით. სწავლის პროცესში თავისუფალი კომპონენტების არჩევით (კონცენტრაციით) სტუდენტს შეუძლია ინდივიდუალური პროფილის ფორმირება. საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში სტუდენტის კომპეტენციების დონე მაქსიმუმს აღწევს საბაკალავრო პროგრამის ბოლო სემესტრებში და "ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ფინანსებში" აკადემიური ხარისხის

შესაბამისი კომპეტენციების ჩამოყალიბება ხდება საბაკალავრო პროგრამის ყველა სასწავლო კომპონენტის შესწავლისას შეძენილი კომპეტენციების სინთეზის საფუძველზე. ამასთან, პროგრამის ზოგიერთი კომპონენტის მიმართ გაგვაჩნია, კონკრეტული მოსაზრებები, კერძოდ: ➢ პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით პირველ სემესტრში სავალდებულო კურსის სახით შეთავაზებულია ,,მათემატიკა ეკონომიკისა და ბიზნესისათვის- 1“ დისციპლინა, რომელშიც განხილულია ისეთი სპეციფიკური საკითხები, როგორიცაა: მოთხოვნისა და მიწოდების ანალიზი, ინვესტიციების შეფასება და შედარება, ეროვნული შემოსავლის განსაზღვრა, წარმოების დარგთაშორისი ბალანსი და ა.შ., რისი სრულფასოვანი შესწავლაც სტუდენტის მხრიდან, როგორც მათემატიკის ისე ეკონომიკის საწყისების ცოდნას მოითხოვს, მითუმეტეს გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ პროგრამაზე მიღების წინაპირობად მათემატიკა სავალდებულო დისციპლინად არ მოითხოვება. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ უმჯობესი იქნება პირველ სემესტრში არჩევითი დისციპლინის სახით შეთავაზებული იქნეს პრე-კალკულუსი, რომელსაც სტუდენტი აირჩევს იმის მიხედვით აქვს თუ არა მას ჩაბარებული მათემატიკა ეროვნულ გამოცდებზე და სასწავლო კურსის ,,მათემატიკა ეკონომიკისა და ბიზნესისათვის - 1“ წინაპირობად განისაზღვროს მიკროეკონომიკის პრინციპები, რაც სტუდენტებს გაუადვილებს აღნიშნული დისციპლინის შესწავლას; ➢ პროგრამის სასწავლო გეგმაში გათვალისწინებულ პრაქტიკის კომპონენტს არ აქვს წინაპირობა განსაზღვრული, შესაბამისად პრაქტიკის წინაპირობად რეკომენდებულია განისაზღვროს პროგრამით გათვალიწინებული ის სავალდებულო კომპონენტები, რომლებიც სტუდენტს ათვისებული უნდა ჰქონდეს პრაქტიკის კომპონენტის არჩევის მომენტისათვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ „ფინანსები და საბანკო საქმე“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; ▪ პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში; ▪ ინტერვიურება პროგრამის ხელმძღვანელთან; ▪ უნივერსიტეტის ვებ გვერდი - https://sdasu.edu.ge/;
რეკომენდაციები: ▪ რეკომენდებულია პროგრამის სტუდენტებისათვის პირველ სემესტრში არჩევითი დისციპლინის სახით შეთავაზებული იქნეს პრე-კალკულუსი, რომელსაც სტუდენტი აირჩევს იმის მიხედვით აქვს თუ არა მას ჩაბარებული მათემატიკა ეროვნულ გამოცდებზე, ხოლო სასწავლო კურსის ,,მათემატიკა ეკონომიკისა და ბიზნესისათვის - 1“ წინაპირობად მის შინაარსიდან გამომდინარე, განისაზღვროს მიკროეკონომიკის პრინციპები, რაც სტუდენტებს გაუადვილებს აღნიშნული დისციპლინის შესწავლას; ▪ რეკომენდებულია ,,პრაქტიკის“ წინაპირობად განისაზღვროს პროგრამით გათვალიწინებული ის სავალდებულო კომპონენტები, რომლებიც სტუდენტს ათვისებული უნდა ჰქონდეს პრაქტიკის კომპონენტის არჩევის მომენტისათვის.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 სტუდენტის შეფასების მეთოდები საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება შეფასების შედეგებით

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება ხდება 100-ქულიანი (max 100 ქულა) სისტემით. სასწავლო კომპონენტის შეფასების ფორმებია შუალედური და დასკვნითი შეფასება. სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასება (ქულა) წარმოადგენს შუალედური და დასკვნითი შეფასებების ფორმებში მიღებული ქულების ჯამს. შეფასების ფორმები, კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი ასახულია ყოველი სასწავლო კურსის სილაბუსში. ამასთან, აღსანიშნავია, რომ

- პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კურსებში სტანდარტულად გამოიყენება დასწრება/აქტივობა, რომელიც ფასდება 5 ქულით, ხოლო თავის მხრივ აქტივობები ცალკე შეფასების ობიექტიცაა. აღნიშნული საკითხთან დაკავშირებით დაწესებულების მხრიდან გაკეთდა განმარტება, რომ აქ მხოლოდ დასწრება იგულისხმება;
- საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსში მიზანშეწინილია დაკორექტირდეს ჩანაწერი განმეორებითი დაცვების მომდევნო წელს გადატანის შესახებ, კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი ჩაიჭრება საბაკალავრო ნაშრომის დაცვაზე, უმჯობესია სტუდენტს განმეორებით დაცვაზე გასვლის უფლება არა მომდევნო წელს არამედ მომდევნო სემესტრში მიეცეს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „ფინანსები და საბანკო საქმე“ საბაკალავრო პროგრამა;
- პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიურება პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიურება პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი - https://sdasu.edu.ge/.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია სასწავლო კურსებში არსებული ჩანაწერი - დასწრება/აქტივობა, რომელიც ფასდება 5 ქულით, დაკონკრეტდეს, ეს დასწრების ქულაა თუ აქტივობის;
- რეკომენდებულია, იმ შემთხვევაში თუ სტუდენტი ჩაიჭრება საბაკალავრო ნაშრომის დაცვაზე მას განმეორებით დაცვაზე გასვლის უფლება არა მომდევნო წელს, არამედ მომდევნო სემესტრში მიეცეს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სტუდენტის ცოდნის შეფასებისას გამოიყენება გამჭვირვალე კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი "ფინანსები და საბანკო საქმის" საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში გამოყენებული სტუდენტის ცოდნის შეფასების კრიტერიუმები, ფორმები და წესები მიმართულია სწავლის შედეგების მიღწევაზე, შეფასების შედეგები ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, სასწავლო კურსის განმახორ-ციელებელი ლექტორები სტუდენტებთან ერთად განიხილავენ მიღწეულ შედეგებს, ეხმარებიან მათ შედეგების გაუმჯობესებაში და უტარებენ კონსულტაციებს, რაც სასწავლო პროცესის დაწყებისთანავე კონსულტაციების ცხრილშია გათვალისწინებული. შეფასების ფორმები და კრიტერიუმები ასახულია სასწავლო კომპონენტების პროგრამებში (სილაბუსებში), რომელიც საჯარო და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის. ამასთან, მიგვაჩნია, რომ ➢ საჭიროა განხორციელდეს პრაქტიკის სილაბუსში წარმოდგენილი ცოდნის შეფასების კრიტერიუმების დეტალური რანჟირება, რომელიც სილაბუსში წარმოდგენილია 10-იანი ბიჯით. აღნიშნული კორექტირება გაზრდის შეფასების გაჭირვალეობის ხარისხს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ „ფინანსები და საბანკო საქმე“ საბაკალავრო პროგრამა; ▪ პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში; ▪ ინტერვიურება პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ▪ ინტერვიურება პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან; ▪ უნივერსიტეტის ვებ გვერდი - https://sdasu.edu.ge/.

რეკომენდაციები: ▪ რეკომენდებულია პრაქტიკის სილაბუსში მოცემული ცოდნის შეფასების კრიტერიუმების დეტალური რანჟირება.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

3.1 სტუდენტი იღებს თავისი პროფილის განსაზღვრის, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად აუცილებელ ინფორმაციას, კონსულტაციასა და დახმარებას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით დადგინდა, რომ უნივერსიტეტში შესაძლებელია სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად აუცილებელი ინფორმაციის, კონსულტაციებისა და დახმარების მიღება. თუმცა, პროგრამის სტუდენტებთან აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გასაუბრება არ ყოფილია, ვინაიდან პროგრამას არ ჰყავს არც სტუდენტი და არც კურსდამთავრებული. გასუბრებები შედგა ,,ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებთან და დადგინდა, რომ უნივერსიტეტში სტუდენტს შეუძლია

მიიღოს სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად საჭირო ინფორმაცია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ "ფინანსები და საბანკო საქმის" საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამა; ▪ ინტერვიურება პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ▪ ინტერვიურება "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; ▪ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი - https://sdasu.edu.ge/.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 დაწესებულების აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში გათვალისწინებულია სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობა
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დაწესებულების აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში გათვალისწინებულია სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობა. ამასთან, მომიჯნავე პროგრამის, კერძოდ "ბიზნესის ადმინისტრირების" საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუირებისას დადგინდა, რომ სტუდენტები რეალურად იღებენ სრულყოფილ კონსულტაციებს ლექტორებისაგან ცხრილით გაწერილი საკონსულტაციო საათების მიხედვით. პროგრამაში არსებული დაგეგმილი საკონსულტციო საათების გარდა, ყოველი საგნის პროფესორთან შესაძლებელია ინდივიდუალურად საკონსულტაციო საათებზე წინასწარ შეთანხმება, ან ინდივიდუალურად მათთან მუშაობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები

- "ფინანსები და საბანკო საქმის" საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამა;
- ინტერვიურება პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიურება "ბიზნესის ადმინისტრირების" პროგრამის სტუდენტებთან;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი - https://sdasu.edu.ge/.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.3 დაწესებულება ხელს უწყობს სტუდენტის ჩართვას კვლევითი პროექტების განხორციელებაში, პრაქტიკული უნარების განმავითარებელ კომპონენტებსა და კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებაში

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დაწესებულება ხელს უწყობს სტუდენტთა ჩართვას სამეცნიერო კონფერენციებში. ვიზიტის დროს წარმოდგენილ იქნა სტუდენტთა (სხვა პროგრამების სტუდენტები) სამეცნიერო ნაშრომების კრებული და სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. უნივერსიტეტს მემორანდუმები აქვს გაფორმებული პრაქტიკის ობიექტებთან, სადაც სტუდენტები გადიან პრაქტიკას. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სხვადასხვა აქტიური ცენტრები: ტელევიზია, რადიო, სპორტული დარბაზი და სხვ. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტური თვითმმართველობა, რომელიც ორიენტირებულია სტუდენტური და სასწავლო ცხოვრების დაგეგმვასა და გაუმჯობესებაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- "ფინანსები და საბანკო საქმის" საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამა;
- ინტერვიურება პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი - https://sdasu.edu.ge/.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.4 დაწესებულება ორიენტირებულია სწავლების, სამეცნიერო მუშაობისა და კურსდამთავრებულთა დასაქმებულობის ინტერნაციონალიზაციაზე
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტი ნაწილობრივ ორიენტირებულია სწავლების ინტერნაციონალიზაციაზე, შემოწმების მომენტისათვის დაწესებულებამ წარმოადგინა სლოვაკეთის ევროპულ და ვარშავის უნივერსიტეტებთან ურთიერთანამშრომლობის ხელშეკრულებები (თუმცა ხელშეკრულებებზე ერთ შემთხვევაში არ იყო ხელმოწერა, ხოლო მეორე შემთხვევაში აკლდა თარიღი), პროგრამის სტრუქტურაში გაძლიერებულია ინგლისური ენის სწავლების კომპონენტი, კერძოდ გათვალისწინებულია სავალდებულო ინგლისური ენის სასწავლო კურსი (20 კრედიტი), ბიზნეს-ინგლისური ენის სასწავლო კურსი (10 კრედიტი), არჩევით/თავისუფალ კომპონენტში კი წარმოდგენილია ინგლისურენოვანი სასწავლო კურსები (10 კრედიტი). უნივერსიტეტი უზრუნველყოს აკადემიური პერსონალისათვის სამეცნიერო ნაშრომების დაბეჭდვას, პროგრამის განმახორციელებელი ერთ-ერთი პროფესორის განცხადებით მისი მონოგრაფიული კვლევა იბეჭდება უნივერსტეტის მხარდაჭერით. თუმცა, მიგვაჩნია, რომ უნივერსიტეტმა გაცილებით მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს როგორც სწავლების, ისე სამეცნიერო მუშაობისა და კურსდამთავრებულების ინტერნაციონალიზაციაში, შესაბამისად რეკომენდებულია ინტერნაციონალიზაციის მასშტაბების გაზრდის მიზნით გააქტიურდეს მუშაობა: საერთაშორისო სტუდენტური კონფერენციების, საერთაშორისო ფორუმების ორგანიზაციის, საერთაშორისო კვლევით პროექტებში მონაწილეობის, მოწვეული უცხოელი ლექტორების საჯარო ლექციების ჩატარების, საერთშორისო აკადემიურ გაცვლით პროგრამებში აქტიური ჩართულობის მიმართულებით. ამასთან, ინტერვიუების პროცესში დადგინდა, რომ მოცემულ ეტაპზე დაწესებულებას დაწყებული აქვს მუშაობა ჩინეთის, საბერძნეთისა და რუმინეთის უნივერსიტეტებთან მომავალი თანამშრომლობის შესახებ, დაგეგმილია უნივერსიტეტის ბაზაზე ბიზნეს-ინკუბატორის შექმნა, უწყვეტი განათლების ხელშესაწყობად სასერთიფიკატო კურსების გახსნა და გაცვლით პროგრამა Erasmus +-თან თანამშრომლობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები

- "ფინანსები და საბანკო საქმის" საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამა;
- ინტერვიურება პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიურება ,,ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- მემორანდუმები;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი - https://sdasu.edu.ge/.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია პროგრამის პოტენციური სტუდენტების, აკადემიური და მოწვეული პროფესორების ჩართულობის მექანიზმების გააქტიურება ინტერნაციონალიზაციის პროცესში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		√		

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

4.1 დაწესებულების ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დაწესებულების ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. ვიზიტის დროს ექსპერტები გაეცნენ უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურას, სათანადო ინვენტარით აღჭურვილ სასწავლო აუდიტორიებს, ბიბლიოთეკას (უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა არის საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციისა და პროექტის „ელექტრონული ინფორმაცია ბიბლიოთეკებისათვის - eIFL" მონაწილეთა კონსორციუმის წევრი), აკადემიური პერსონალის სამუშაო ოთახებს, კომპიუტერულ რესურს–ცენტრებს, ლაბორატორიებს, ინტერნეტის წვდომის საშუალებებს და სხვა ტექნიკურ აღჭურვილობას, რომლებიც შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებსა და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. უნივერსიტეტში უზრუნველყოფილია საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობით, ექსპერტებმა დაათვალიეს შემდეგი ელექტრონული უცხოური ინტერნეტ-რესურსები: **Cambridge Journals Online** (https://www.cambridge.org/core); **IMF eLibrary** (http://www.elibrary.imf.org/?redirect=true) სადაც შესაძლებელია სტუდენტებმა მოიძიონ უცხოენოვანი ჟურნალები, სტატიები, წიგნები, რომელიც მათ სჭირდებათ კვლევასა და სწავლებაში. არსებული მოთხოვნის შესაბამისად, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა პერიოდულად ახორციელებს ახალი სასწავლო ლიტერატურის შეძენის პროცესს. ექსპერტების მიერ შერჩევით მოხდა სილაბუსში მითითებული ძირითადი ლიტერატურის ბიბლიოთეკაში დათვალიერება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება ადგილზე; ▪ ინტერვიურება უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან; ▪ "ფინანსები და საბანკო საქმის" საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 კომპონენტის განმახორციელებელი პირი თავად ფლობს შეთავაზებული კომპონენტის სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელ კომპეტენციებს, რაც დგინდება: აკადემიური პერსონალის შემთხვევაში - ბოლო 10 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომით (სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი პროექტით), რომელიც ადასტურებს შესაბამის დარგში მის კომპეტენტურობას; ხოლო მოწვეული პერსონალის ან მასწავლების შემთხვევაში - შეიძლება დადასტურდეს პრაქტიკული გამოცდილებით
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი "ფინანსების და საბანკო საქმის" საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამაში მონაწილეობს უნივერსიტეტის 5 პროფესორი, 11 ასოცირებული პროფესორი და 8 მოწვეული ლექტორი. პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირთა კვალიფიკაცია და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული მიზნების მიღწევასა და შეთავაზებული კომპონენტის სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელ კომპეტენციებს. პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი ფლობს დარგის თეორიას, პრაქტიკას და პროფესიულ უნარებს, თუმცა სასურველია პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის მხარდამჭერი მექანიზმების მეტად გააქტიურება. 2017 წლის დეკემბრის თვეში უნივერსიტეტში დამტკიცდა „აკადემიური პერსონალის აფილირების წესი“, რომელიც სავარაუდოდ უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გაძლიერებას. მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული მიზნების მიღწევასა და შეთავაზებული კომპონენტის სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელ კომპეტენციებს. ასევე, პროგრამის შემოწმებისას გამოიკვეთა, რომ პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსების გარკვეულ ჯგუფში, კერძოდ, ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები, ფინანსური აღრიცხვა -1, 2, მმართველობითი აღრიცხვა, საგადასახადო საქმე, აუდიტის საფუძვლები, ეკონომიკური ანალიზი მითითებული იყო მხოლოდ ერთი პროფესორი, შესაბამისად არსებული ჩანაწერით ერთ პროფესორზე 8 საგანი მოდიოდა წასაკითხად, თუმცა პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიურებისას დაზუსტდა, რომ სილაბუსებში მითითებული პროფესორი არის მხოლოდ ავტორი აღნიშნული სილაბუსების და მათ განხორციელებაში რეალურად ჩართულია სხვა პროფესორებიც. გამომდინარე, აქედან მიგვაჩნია, რომ საჭიროა პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული იყოს არა მარტო სილაბუსის ავტორი, არამედ მისი წამკითხველი პერსონალიც.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ ინტერვიურება უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ▪ "ფინანსები და საბანკო საქმის" საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ▪ საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლი პერსონალის პირადი საქმეები.
რეკომენდაციები: ▪ რეკომენდებულია კონკრეტული სასწავლო კურსების სილაბუსებში (ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები, ფინანსური აღრიცხვა -1, 2, მმართველობითი აღრიცხვა, საგადასახადო საქმე, აუდიტის საფუძვლები, ეკონომიკური ანალიზი) დაკონკრეტდეს,

როგორც სილაბუსის ავტორი, ასევე მისი წამკითხველი პერსონალი.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 პროგრამის განხორციელება ხელშეწყობილია სათანადო კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ექსპერტების ადმინისტრაციასთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ პროგრამის განხორციელების ხელშეწყობა უზრუნველყოფილია სათანადო კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. უნივერსიტეტის პერსონალი (მათ შორის, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული სერვისი და სხვ.) უზრუნველყოფს სტუდენტების ინფორმირებას საბაკალავრო პროგრამასთან და სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე, ეხმარებიან მათ სწავლის პროცესში შექმნილი პრობლემების გადაჭრაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ ინტერვიურება საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან; ▪ "ფინანსები და საბანკო საქმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ▪ ინტერვიურება ,,ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 სასწავლო მასალა დაფუძნებულია მიმართულების/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სასწავლო მასალა დაფუძნებულია მიმართულების/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და შესაბამისად, უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო კურსების უმეტეს სილაბუსებში ძირითად და დამატებით მოცემულია ქართულენოვანი სასწავლო მასალა. ვინაიდან პროგრამაში შეთავაზებულია ინგლისურ ენის სიღრმისეული სწავლება (30 კრედიტის ფარგლებში) ამიტომ ინგლისურის ენის პრაქტიკული კუთხით ჩართულობისა და თანამედროვე უცხოენოვანი ლიტერატურის გაცნობის მიზნით სასურველია V-VIII სემესტრებში შეთავაზებული სილაბუსის დამხმარე ლიტერატურაში ინგლისურენოვანი ლიტერატურის მეტი შეთავაზება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ "ფინანსები და საბანკო საქმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; ▪ ინტერვიურება ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ▪ "ფინანსები და საბანკო საქმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ▪ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი- www.sdasu.edu.ge .
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ▪ სასურველია V-VIII სემესტრებში შეთავაზებული სილაბუსის დამხმარე ლიტერატურაში ინგლისურენოვანი ლიტერატურის შეთავაზება
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.5 არსებობს პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის უზრუნველყოფისთვის წინასწარი ფინანსური გათვლებით შედგენილია ხარჯთაღრიცხვა, რაც ასახულია უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის სკოლის 2018 წლის ბიუჯეტში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან; ▪ უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის სკოლის 2018 წლის ბიუჯეტი.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		√		

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

5.1 მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ითვალისწინებს "დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე„ ციკლს
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტში მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც რეგულირდება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებით. მასში გათვალისწინებულია ,,დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე" ციკლი, რომელიც შრომის ბაზრის კვლევის, შემუშავებული კითხვარების საფუძველზე ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის, კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგების საფუძველზე ახორციელებს პროგრამის გასავითარებლად საჭირო ცვლილებების დაგეგმვას და დანერგვას. სტუდენტთა უფლებებისა და ინტერესების დაცვისა და ხელშეწყობის მიზნით, უსდ-ში არსებობს გასაჩივრების ეფექტური მექანიზმი. ასევე, მიზანშეწონილია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეისწავლოს "ფინანსების და საბანკო საქმის" საბაკალავრო პროგრამის ყველა სტუდენტის პროგრამიდან გადასვლის მიზეზები (რაც ფაქტობრივად პროგრამის შეჩერების ერთერთი მიზეზად შეიძლება განვიხილოთ), დაგეგმოს და განახორციელოს მსგავსი ფაქტების თავიდან აცილებისათვის ადექვატური პრევენციული ღონისძიებები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ "ფინანსების და საბანკო საქმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; ▪ ინტერვიურება ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ▪ "ფინანსების და საბანკო საქმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ▪ შრომის ბაზრის კვლევა; ▪ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი- www.sdasu.edu.ge
რეკომენდაციები: ▪ რეკომენდებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეისწავლოს "ფინანსების და საბანკო საქმის" საბაკალავრო პროგრამის ყველა სტუდენტის პროგრამიდან გადასვლის

მიზეზები (რაც ფაქტობრივად პროგრამის შეჩერების ერთერთი მიზეზად შეიძლება განვიხილოთ), დაგეგმოს და განახორციელოს მსგავსი ფაქტების თავიდან აცილებისათვის ადექვატური ხარისხის უზრუნველყოფის პრევენციული ღონისძიებები.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 შიდა და გარე შეფასება გამოყენებულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამებისა და სილაბუსების შიდა შეფასება ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ხორციელდება შემუშავებული ფორმებისა და კრიტერიუმების საშუალებით. ექსპერტების მიერ დადასტურდა, რომ საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებას ახდენენ სტუდენტები სპეციალური კითხვარების საშუალებით, რომელთა შედეგების გათვალისწინებასაც ახდენს შესაბამისი სამსახური. სასწავლო პროცესის და საგანმანათლებლო პროგრამის ადმინისტრირების მიზნით ტარდება მონიტორინგი გამოკითხვის და ანკეტირების მეთოდით. სასწავლო კურსების წამყვანი აკადემიური პერსონალი, მოწვეული პერსონალი და სტუდენტები პერიოდულად აფასებენ სასწავლო პროცესსა და სასწავლო კურსებს. პოგრამამ აკრედტაცია მიიღო 2011 წელს. შესაბამისად, აკრედტიაციის შედეგად პროგრამაზე გაცემული რეკომენდაციებიდან, დღეის მდგომარეობით: სწავლების მე-8 სემესტრში სასწავლო გეგმით გათვალისწინებული იქნა პრაქტიკის კომპონენტი; პროგრამის შემუშავებაში დამსაქმებლების ჩართულობა მეტწილად გათვალისწინებულია; გაზრდილია პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის რიცხვი, თუმცა ცაკლეული დარგობრივი სასწავლო კურსების სილაბუსებში (7-8 სილაბუსი) ისევ ერთი და იგივე პროფესორი არის მითითებული; გათვალისწინებულია დამსაქმებლების მოთხოვნა უცხო ენების სწავლების გაძლიერების შესახებ; დაკორექტირებულია ზოგიერთი სასწავლო კურსის წინაპირობები და თემატიკა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ "ფინანსების და საბანკო საქმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; ▪ ინტერვიურება ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ▪ "ფინანსების და საბანკო საქმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ▪ შრომის ბაზრის კვლევა; ▪ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი- www.sdasu.edu.ge
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

ფინანსები და საბანკო საქმე

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 33

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა			√	
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		√		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		√		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის</u>

ვასილ კიკუტაძე

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის</u>

დავით სიხარულიძე

რუსუდან სეთურიძე

დავით ბურჯანაძე